



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #63

აპრილი, 2018

გამოშვებაში
წაიკითხავთ

საქართველოს მიერ ელ-მმართველობის მიმართულებით
გატარებული რეფორმები მაგალითის სახით
საერთაშორისო კონფერენციაზე იქნა გატანილი

1 საქართველოს მიერ ელ-მმართველობის მიმართულებით გატარებული რეფორმები მაგალითის სახით საერთაშორისო კონფერენციაზე იქნა გატანილი

2 EAUCTION.GE- ელექტრონული აუქციონის ვებგვერდის მობილური აპლიკაცია უკვე ხელმისაწვდომია

3 კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლება - ტრენინგი MS+-ისა და DDG-ის თანამშრომლებისთვის



ირლანდიის ქალაქ გალვეიში 4-6 აპრილს გაიმართა მე-11 საერთაშორისო კონფერენცია ელექტრონული მმართველობის თეორიასა და პრაქტიკაზე. ღონისძიება ICEGOV-ის სახელით ცნობილი კონფერენციების სერიის ფარგლებში ტარდება და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში თავს უყრის მონაწილეებს მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოდან, რომლებიც განიხილავენ ელექტრონული მმართველობის ასპექტებს, დღეს არსებულ მთავარ მიმართულებებსა და გამოწვევებს, ასევე იმ ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებას, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ელექტრონული მმართველობის მოდელების დანერგვის მიმართულებით. ICEGOV-ის ორგანიზატორი და კოორდინატორია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ელექტრონული

მმართველობის უნივერსიტეტი (UNU-EGOV), რომელიც პორტუგალიის ქალაქ გიმარაეშში მდებარეობს.

საქართველოდან კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ იურიდიული სამმართველოს უფროსმა ნატალია გოდერძიშვილმა, რომელმაც ღონისძიების პირველ დღეს, პანელის ფორმატში, დამსწრე საზოგადოებას დეტალურად გააცნო საქართველოს მიერ ელ-მმართველობის განვითარების მიმართულებით განვლილი გზა (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

www.eAuction.ge
ქალაქიონური აუქციონი

www.eauction.ge




www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) კერძოდ, ისაუბრა ქვეყნის ციფრულ ტრანსფორმაციაზე და მიმოიხილა საქართველოს მიერ მიღწეული არაერთი წარმატება ელექტრონული მმართველობის პლატფორმების იმპლემენტაციის, ასევე საჯარო სერვისების მიწოდების პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში.

„მოხარული ვარ, რომ საქართველოს მაგალითმა, ანუ ჩვენი ქვეყნის მიერ ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით განვლილმა გზამ არაერთი სახელმწიფოს წარმომადგენლების დაინტერესება და მოწონება დაიმსახურა. მეტიც - საქართველოს, ასე ვთქვათ, მოდელი კონფერენციის ორგანიზატორების მხრიდან პლენარულ სესიაზე იქნა გატანილი როგორც ელექტრონული მმართველობის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი პორტუგალიის, პანამის, ნიგერიისა და ინდოეთის მაგალითებთან ერთად“, - აღნიშნავს ნატალია გოდერძიშვილი.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციაზე საქართველო წარმოდგენილი იყო სპეციალური პოსტერით, რომელიც მიმოიხილავდა ელექტრონული სერვისების მიწოდების თავისებურებებს და ამ პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მაგალითებს (ელექტრონული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების შესაძლებლობა, ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ბლოკჩეინ ტექნოლოგიების გამოყენება და სხვა).



EAUCTION.GE - ვებგვერდის მობილური აპლიკაცია უკვე ხელმისაწვდომია



ელექტრონული აუქციონების ვებგვერდი eAuction.ge, მომხმარებლებს სახელმწიფო და კერძო სექტორის უძრავ-მომრავი ქონების შესყიდვას მათთვის კომფორტულ გარემოში, ხელსაყრელ ფასად სთავაზობს. დღეისათვის ვებგვერდის მომხმარებელთა რიცხვი 90 000-მდე ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეადგენს, ხოლო ვიზიტორთა ყოველდღიური რაოდენობა 8000-ზე მეტია.

მიმდინარე წელს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ“ მომხმარებლებსთვის ინოვაციური და დღევანდელ რეალობაში ყველაზე პოპულარული სისტემის შეთავაზების

მიზნით, წარმატებით განახორციელა ვებგვერდის მობილური აპლიკაციის გაშვება (გაგრძელება გვ. 3)

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2) ელექტრონული აუქციონის მობილური ვერსია განკუთვნილია iOS-ისა და Android-ის სისტემებზე მომუშავე მოწყობილობებისთვის. მომხმარებლებს საშუალება აქვთ უფასოდ ჩამოტვირთონ აღნიშნული აპლიკაცია და დააინსტალირონ თავიანთ სმარტფონებში.

მობილურ აპლიკაციაში ადაპტირებულია ვებგვერდის ძირითადი მოდულები:

- რეგისტრაცია/ავტორიზაცია/პაროლის აღდგენა;
- გადახდა/ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება;
- მიმდინარე ლოტების ძიება/ფილტრაცია.

მობილურ აპლიკაციაში ვებგვერდის საგადახდო სისტემა მთლიანად ადაპტირებულია და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, სასურველ დროსა და ადგილას შეუძლია გადაიხადოს ლოტის საგარანტიო და დარჩენილი ღირებულებები, ასევე ივაჭროს სასურველ აუქციონზე სმარტფონის საშუალებით.

დღეისათვის აპლიკაციის ჩამოტვირთვების რიცხვმა 4000 ერთეულს გადააჭარბა.

სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“ მუდმივად სთავაზობს მომხმარებელს ინოვაციურ და გამარტივებულ სერვისებს, რათა კიდევ უფრო მეტად ეფექტიანი გახადოს ელექტრონული ყიდვა-გაყიდვის პროცედურები.

კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლება – ტრენინგი MS+სა და DDG-ს თანამშრომლებისთვის



სს „Express Technologies“-ში შემავალი კომპანიების – MS+-ისა და DDG-ის თანამშრომლებმა, კიბერუსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგი გაიარეს, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ წარმომადგენლებმა ჩაატარეს.

„მსგავსი სახის ტრენინგებს სხვადასხვა კომპანიისთვის მუდმივად ვატარებთ. მისასალმებელია, რომ კერძო სექტორი დაინტერესებულია კიბერუსაფრთხოების საკითხებით. რაც უფრო მაღალი იქნება კერძო სექტორში მომედი კომპანიების თანამშრომლების ცოდნა

კიბერუსაფრთხოებასთან, ასევე კიბერპიიენასთან დაკავშირებით, მით უფრო გაიზრდება ამავე კომპანიების მდგრადობა პოტენციურ კიბერუსაფრთხოებთან მიმართებაში“, - დავით ქვათაძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის (CERT.GOV.GE) მენეჯერი.

URL-ის, დესტოპისა და ელექტრონული ფოსტის უსაფრთხოება, ასევე სარეზერვო ასლი (BACKUP), სოციალური ქსელების უსაფრთხოება და ღრუბლოვანი ტექნოლოგიები (CLOUD) ის საკითხებია, რომლებიც MS+-ისა და DDG-ის თანამშრომლებმა ტრენინგის ფარგლებში გაიარეს. კურსის დასრულების შემდეგ ჩატარდა ტესტირება, რომელიც სს „Express Technologies“-ში შემავალი კომპანიების წარმომადგენლებმა წარმატებით ჩააბარეს.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

უნივერსიტეტის ქ. 50
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრიროთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ